# ხელშეკრულება N MDF/D/NCS/062-2013

ქ. თბილისი „9" აგვისტო 2013წ

ერთის მხრივ სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის ბ-ნი ელგუჯა ხოკრიშვილის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „თბილსერვის ჯგუფი", წარმოდგენილი მისი დირექტორის ბ-ნი თორნიკე შიოლაშვილის სახით, (შემდგომში მიმწოდებელი) საქართველოში მოქმედი კანონების და საწარმოს დებულების შესაბამისად, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 მიმწოდებელი შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე ახორციელებს არაუმეტეს 10 ტონა ჩამოწერილი ძირითადი და მცირეფასიანი საშუალებების განადგურება-დამარხვის მომსახურებას ქ. თბილისის საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე (შემდგომში "მომსახურება") (CPV 90513300).

## 2. ხელშეკრულების პირობები

2.1 მიმწოდებელი ვალდებულია დროულად და ხარისხიანად მოემსახუროს შემსყიდველს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 14 სამუშაო დღის განმავლობაში.

2.2 შემსყიდველი ვალდებულია ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და განსაზღვრული პირობებით გადაუხადოს მიმწოდებელს მომსახურების ღირებულება.

## 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

3.1.1 დროულად და ხარისხიანად განახორციელოს 1.1 პუნქტში აღნიშნული მომსახურება.

3.2 მიმწოდებელს უფლება აქვს:

3.2.1 ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში შემსყიდველისგან მოითხოვოს მომსახურების ღირებულების დროულად გადახდა.

3.2.2 შემსყიდველისგან მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვა.

3.3 შემსყიდველი ვალდებულია:

3.3.1 ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და პირობებით გადაუხადოს მიმწოდებელს მომსახურების ღირებულება.

3.4 შემსყიდველს უფლება აქვს:

3.4.1 მოითხოვოს მიმწოდებლისგან უხარისხოდ გაწეული მომსახურების გამოსწორება.

3.4.2 მოითხოვოს მიმწოდებლისგან წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვა.

3.4.3 მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში წერილობითი ფორმით, ცხელი ხაზის ან ფოსტის მეშვეობით (ტელ: 2619050. Email: tbilservicegroup@yahoo.com ) აცნობოს მიმწოდებელს.

3.5 მხარეები ვალდებულნი არიან დროულად და ჯეროვნად შეასრულონ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1.მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების მოცულობის შესაბამისად.
4.2.შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღებაზე უფლებამოსილი პირი არის სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის სამეურნეო უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი ბ-ნი დავით გოგლიძე.

5. ანგარიშსწორება და ხელშეკრულების ღირებულება

5.1. გასაწევი მომსახურების ღირებულება განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.
5.2. 1 ტონა ჩამოწერილი ძირითადი და მცირეფასიანი საშუალებების განადგურება-დამარხვის მომსახურების ღირებულება შეადგენს 14 (თოთხმეტი) ლარს დღგ-ს ჩათვლით. თუ დადგინდება რომ გასანადგურებელი-გაუვნებელყოფას დაქვემდებარებული საქონლის წონა შეადგენს 1 ტონაზე ნაკლებს, დამკვეთი იხდის 1 ტონის მომსახურების ღირებულებას.
5.3 ხელშეკრულების საფუძველზე ქ. თბილისის საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე შეტანილი და განადგურება-დამარხვას დაქვემდებარებული საქონლის საერთო რაოდენობა და გაწეული მომსახურების ჯამური ღირებულება ფიქსირდება მხარეთა მიერ შედგენილ მიღება-ჩაბარების აქტში.
5.4. მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება მომსახურების გაწევისთვის გათვალისწინებული ყველა ხარჯისა და მიმწოდებლისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის მათ შორის დღგ-ს გადასახადის ჩათვლით შეადგენს არაუმეტეს 140 (ასორმოცი) ლარს.
5.5.ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების ღირებულების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.
5.6. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის წესი

6.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ან მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომელი პირობაც უფრო ადრე დადგება.
6.2 ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა მხარეებს არ ათავისუფლებთ ხელშეკრულების შეწყვეტამდე შესასრულებელი ვალდებულების შესრულების მოვალეობისაგან.

## 7.ფორს-მაჟორი

7.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

7.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, დაფინანსების წყაროს მკვეთრი შემცირებით და სხვა.

7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 8.ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

8.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

8.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

8.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

## 10. სადაო საკითხების მოგვარება

10.1. მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულების რეალიზაციისას წარმოშობილი სადავო საკითხები წესრიგდება მხარეთა შეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სადავო საკითხს განიხილავს სასამართლო.

## 11. დასკვნითი დებულებები

11.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ორი ეგზემპლარი მიმწოდებელს.

| | |
|---|---|
| "შემსყიდველი" | „მიმწოდებელი" |
| სსიპ „საქართველოს მუნიციპალური | შ.პ.ს "თბილსერვის ჯგუფი" |
| განვითარების ფონდი" | მის: ქ. თბილისი, კახეთის |
| ს/კ 206074193 | გზატკეცილი #67 |
| ქ.თბილისი აღმაშენებლის გამზირი N150 | საიდ. კოდი: 206267494 |
| ს/ს ბანკი რესპუბლიკა | ს.ს "ლიბერთი ბანკი" ცენტრალური |
| ბანკის კოდი № 220 101 757 | ფილიალი, ბანკის კოდი: LBღთGE22 |
| ა/ა GE34BR0000010975120582 | ა.ა. N GE90LB0113172770216000 |
| აღმასრულებელი დირექტორი | დირექტორი |
| ელზბარ ხოკრიშვილი | თორნიკე შიოლაშვილი |